სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო"-ს

მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილება N01-01/06

(ოქმი N3)

ქ. ბათუმი 26 თებერვალი 2018 წ

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო"-ს მრჩეველთა საბჭოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ

„მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 35[7] მუხლის 1-ლი პუნქტისა და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო"-ს დებულების 3.1.1. ქვეპუნქტის თანახმად,

1. დამტკიცდეს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო"-ს მრჩეველთა საბჭოს აპარატის დებულება თანდართული სახით.

2. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ვებ-გვერდზე „www.ajaratv.ge".

3. გადაწყვეტილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დანართი: სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო"-ს

მრჩეველთა საბჭოს აპარატის დებულება.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო"-ს

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის მ/შ

რუსუდან იმედაიშვილი

დამტკიცებულია სსიპ ,,საზოგადოებრივი

მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს

მრჩეველთა საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის N 01-01-06 გადაწყვეტილებით

(ოქმი N 3)

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს

მრჩეველთა საბჭოს აპარატის

დებულება

წინამდებარე დებულება განსაზღვრავს სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მრჩეველთა საბჭოს აპარატის ფუნქციებს, უფლებამოსილებებს, ფუნქციონირების ორგანიზაციულ და სამართლებრივ საფუძვლებს.

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს (შემდგომში - ,,მაუწყებელი'') მრჩეველთა საბჭოსთან არსებულ ორგანიზაციულ სამსახურს წარმოადგენს მაუწყებლის დებულებით გათვალისწინებული სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მრჩეველთა საბჭოს აპარატი (შემდგომში - ,,აპარატი'').

2. აპარატი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს ,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტებით და წინამდებარე დებულებით.

3. აპარატის კომპეტენცია და უფლებამოსილებები განისაზღვრება წინამდებარე დებულებით, რომელსაც ამტკიცებს მაუწყებლის მრჩეველთა საბჭო.

4. აპარატის ადგილსამყოფელია ქ. ბათუმი, მ. აბაშიძის ქ. N41.

მუხლი 2. აპარატის ფუნქციები

1. აპარატის ფუნქციას წარმოადგენს უზრუნველყოს მაუწყებლის მრჩეველთა საბჭოს საქმიანობის ორგანიზაცია.

2. აპარატის საქმიანობის კოორდინაციას უზრუნველყოფს მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არ ყოფნის შემთხვევაში თავმჯდომარის მოადგილე.

მუხლი 3. აპარატის უფლება-მოვალეობები

1. აპარატი ახორციელებს:

ა) მრჩეველთა საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას, რაც მოიცავს:

- მრჩეველთა საბჭოს ღონისძიებების (სხდომები, კონფერენციები, საზოგადოებრივი მოსმენები) ორგანიზება;

- მრჩეველთა საბჭოს მუშაობის განრიგის და სხდომათა დღის წესრიგის ფორმირებას, სხდომის შედეგების მიხედვით მასალების დარიგებას/დაგზავნას შესაბამისი პირებისათვის;

- მრჩეველთა საბჭოს საქმიანობის დოკუმენტურ გაფორმებას და საქმისწარმოების გაძღოლას;

- ორგანიზება გაუწიოს მრჩეველთა საბჭოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების რეგისტრაციას, მათ აღრიცხვას, სისტემატიზაციას და დადგენილი წესით გამოქვეყნებას;

- ორგანიზაციას უწევს სხდომებზე მოწვეულ პირთა გაფრთხილებას და მოწვევას, ახდენს მათ რეგისტრაციას;

- ორგანიზაციულ დახმარებას უწევს მრჩეველთა საბჭოს წევრებს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებაში;

- ახორციელებს მრჩეველთა საბჭოს სამართლებრივი ინფორმაციით უზრუნველყოფას და მათთვის შესაბამისი სამართლებრივი კონსულტაციის გაწევას;

- კომპეტენციის ფარგლებში მრჩეველთა საბჭოს დავალებით სხვა ფუნქციების შესრულება;

ბ) მრჩეველთა საბჭოს საქმიანობის ინფორმაციულ უზრუნველყოფას, რაც მოიცავს:

- მრჩეველთა საბჭოს მიერ ჩასატარებელი ღონისძიებების და სხდომების შესახებ მრჩევლების ინფორმირებას;

- მრჩეველთა საბჭოს საქმიანობის მაუწყებლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ასახვის კოორდინაციას;

- სხვა ფუნქციებს კომპეტენციის ფარგლებში.

2. აპარატი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე დებულებით დაკისრებული ფუნქციების ჯეროვანი შესრულება;

ბ) მის კომპეტენციას მიკუთვნებული ფუნქციების განხორციელებისას დაიცვას ინფორმაციის საიდუმლოება, რომლის გამჟღავნებაც დაუშვებულია საქართველოს კანონმდებლობით;

დ) დაიცვას და შეასრულოს მაუწყებლის მრჩეველთა საბჭოს მიერ მიღებული აქტებით განსაზღვრული მოთხოვნები.

მუხლის 4. აპარატის შემადგენლობა

1. აპარატი შედგება მაუწყებლის თანამშრომლებისაგან, რომლებსაც მრჩეველთა საბჭოს წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს მაუწყებლის დირექტორი, შესაბამისი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე.
2. აპარატის სტრუქტურას მრჩეველთა საბჭოს წარდგინებით განსაზღვრას მაუწყებლის დირექტორი.
3. აპარატი პასხუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია მრჩეველთა საბჭოს წინაშე.

მუხლი 5. სხვა დებულებები

1. წინამდებარე დებულებაში ცვლილების ან დამატების შეტანა ხროციელდება მისი დამტკიცებისათვის დადგენილი წესით.
2. წინამდებარე დებულების რომელიმე დებულების ბათილად ან ძალადაკარგულად ცნობა არ ახდენს გავლენას დებულების სხვა ნორმების ნამდვილობაზე. საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დებულებაში რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.